ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდის
მუდმივმოქმედი კომისიის სხდომა
ოქმი №136
2020 წლის 28 თებერვალი

სხდომა მოწვეულია ელექტრონულ ფორმატში საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1022 განკარგულებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის წესდების“ მე-14 მუხლით გათვალისწინებული წესის შესაბამისად.

მუდმივმოქმედი კომისიის წევრები:

„1. **ბერდია სიჭინავა** – საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის უფროსის მოადგილე, კომისიის თავმჯდომარე;
2. **ცოტნე ყავლაშვილი** – საქართველოს ფინანსთა მინისტრის მოადგილე, კომისიის მუდმივი წევრი;
3. **თამილა ბარკალაია** - საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის მოადგილე, კომისიის მუდმივი წევრი;
4. **ხათუნა თოთლაძე** – საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე, კომისიის არამუდმივი წევრი;
5. **ხათუნა ჩაჩავა** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს ადმინისტრაციის რეფერალის საორგანიზაციო სამმართველოს უფროსი, კომისიის არამუდმივი წევრი;
6. **გიორგი ჭავჭავაძე** – საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს საფინანსო - ეკონომიკური დეპარტამენტის შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირი, კომისიის არამუდმივი წევრი;
7. **ციალა ჯელაძე** – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანდაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე, კომისიის არამუდმივი წევრი;
8. **მარიამ ესებუა** – სს „ფინკა ბანკი საქართველოს“ მარკეტინგის სამსახურის უფროსი, კომისიის არამუდმივი წევრი;
9. **ლევან ვეფხვაძე** – ა(ა)იპ – საქართველოს ბიზნეს ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის არამუდმივი წევრი;
10. **ალექსანდრე გუგავა** – ა(ა)იპ – საქართველოს რაგბის კავშირის საერთაშორისო ტურნირებისა და მატჩების დეპარტამენტის უფროსი, კომისიის არამუდმივი წევრი;
11. **ქეთევანი ფაცაცია** - ა(ა)იპ- საქართველოს ახალგაზრდა ეკონომისტთა ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი, კომისიის არამუდმივი წევრი;
12. **თემურ მიქელაძე** – კლინიკა „კურაციოს“ პედიატრიული სამსახურის უფროსი, კომისიის არამუდმივი წევრი;

თამარ უგულავა – საქართველოში გაეროს წარმომადგენლობის ასისტენტი, დამკვირვებელი (ხმის მიცემის უფლების გარეშე).

დღის წესრიგი:

ა(ა)იპ – საქართველოს სოლიდარობის ფონდში შემოსული სამედიცინო სერვისების დაფინანსების შესახებ #104, #115, #122, #106, #117, #121, #120 განცხადებების განხილვა (ჯამში 7 განცხადება) და გადაწყვეტილებების მიღება ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის მიერ მკურნალობის ფინანსური დახმარების მაძიებელთა განცხადებების შემაჯამებელი ცხრილის გათვალისწინებით, რომელიც ოქმს ერთვის №1 დანართის სახით.

ჯამურად მოთხოვნილი თანხა შეადგენს:

- აშშ დოლარში - 19 621.24 (ცხრამეტი ათას ექვსას ოცდაერთი და ოცდაოთხი) აშშ დოლარი
- ლარში -57 800 (ორმოცდაჩვიდმეტი ათას რვაასი) ლარი

დღის წესრიგით განსახილველ განცხადებებთან დაკავშირებული დეტალური ინფორმაცია კომისიის წევრებს ელექტრონულად მიეწოდათ WeTransfer-ის პროგრამით ატვირთულ ფაილებში.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 9 ივნისის №1022 განკარგულებით დამტკიცებული „არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის – საქართველოს სოლიდარობის ფონდის წესდების“ მე-14 მუხლის მე-6 პუნქტის თანახმად, სხდომაზე მუდმივმოქმედი კომისიის მიერ ელექტრონულ ფორმატში გადაწყვეტილება მიღებულად მიიჩნევა, თუ მას მხარს დაუჭერს კომისიის წევრთა სრული შემადგენლობის უმრავლესობა. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.

გთხოვთ, გაეცნოთ დღის წესრიგით განსახილველ საკითხებს და ა(ა)იპ - საქართველოს სოლიდარობის ფონდის მიერ მკურნალობის ფინანსური დახმარების მაძიებელთა განცხადებების შემაჯამებელ ცხრილთან დაკავშირებით, რომელიც ოქმს ერთვის №1 დანართის სახით, დააფიქსიროთ თქვენი პოზიცია 2020 წლის 2 მარტის 15:00 საათამდე.

კომისიის წევრი: ~~ქეთევან ფაცაცია~~

ვეთანხმები ყველა განაცხადის დაფინანსებას ☑

არ ვეთანხმები შემდეგი განაცხადის/ების დაფინანსებას ☐

(გთხოვთ, მიუთითოთ განაცხადის ნომრები, რომლის დაფინანსებასაც არ ეთანხმებით)

შენიშვნა _____

_____ ხელმოწერა

2020 წლის 02. 28

(თვე, რიცხვი)

გთხოვთ, ხელმოწერილი დოკუმენტი მოგვაწოდოთ სკანირებული ფორმით ელფოსტის საშუალებით - solidarity@gov.ge